სახელი: ანი

გვარი: სიგუა

ასაკი: 15 წლის

სკოლის დასახელება: სსიპ ილ. ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის N5 საჯარო სკოლა

კლასი: მე-9ბ

წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, რამაც გამოიწვია მისი სუვერენიტეტის დაკარგვა. მიუხედავად ამისა, ქართველებმა მოახერხეს და პირველად 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა ოკუპაციამ ქვეყანა კვლავ თავისუფლების გარეშე დატოვა. მათი 70 -წლიანი ბატონობის შემდეგ, დიდი მსხვერპლის, ბრძოლისა და შეუპოვრობის ფასად 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, რასაც დასჭირდა ხანგრძლივი ბრძოლა. ეს გზა გვასწავლის, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის ისეთი რამ, რაც სამყაროში ყველაზე მეტად ფასობს და რისთვისაც ბრძოლა ყოველთვის ღირს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ,საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, შესაძლებელი გახდა ჩვენი უდიდესი საუნჯის- ენის, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება, ქართველებს მიეცათ სიტყვის, რელიგიის, აზრის გამოხატვის და ა.შ. თავისუფლება. ადამიანებს მიეცათ ინიციატივების განხორციელების, სტუდენტებსა და მოსწავლეებს კი- ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. ჩემი, როგორც დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული ქართველის თვალით დანახული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ძალიან ფასეული და ღირებულია, ისევე ,როგორც ის ევროპული ღირებულებები, რომელთა შესახებაც მსმენია და რომელიც შენთვის, როგორც ევროპაში მცხოვრები ადამიანისათვის, უცხო არაა ,თუმცა სამწუხარო რეალობაა ის, რომ გარკვეული წინსვლისა და წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ევროპული ღირებულებებისგან ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაშორებს, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული ევროპული ღირებულებები და მათი მნიშვნელობა, ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის , თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ევროკავშირი საქართველოს უკეთესი მომავლისთვის.

ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და იქნება ჩემი და ჩემი ქვეყნის თავისუფლება, იმიტომ რომ ადამიანი მაშინაა ყველაზე ძლიერი, როდესაც ის თავისუფალია, რადგანაც, თავისთავადობა ყველაზე ღირებული მონაპოვარია, რომელიც ადამიანებს გაგვაჩნია. საქართველოს თავისუფლებას ბევრი სახელოვანი გმირი შეეწირა. მათ საკუთარი სიცოცხლე გაწირეს იმისთვის, რომ დღეს დამოუკიდებელ ქვეყანაში გვეცხოვრა, რაც, რასაკვირველია ,უაღრესად დასაფასებელია, ამიტომ არავის უნდა ვაპატიოთ
ხელყოფა ამ მონაპოვარისა.

დღესდღეობითთ, ჩემს ქვეყანაში არსებული მწვავე დაპირისპირებების მიუხედავად, ევროპული მომავალი ყოველთვის იყო და არის იმ ქართველების მრავალსაუკუნოვანი არჩევანი და უკეთესი მომავლის პერსპექტივა, რომლებიც იაზრებენ ,თუ რას ნიშნავს ევროპული ღირებულებები, რადგანაც, ევროკავშირი ეფუძნება ისეთ ღირებულებებს,

როგორებიცაა: ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა. ის მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში.

ვფიქრობ, შენთვის ძალიან დიდი უპირატესობაა, რომ შენი ქვეყანა ეფუძნებოდეს ევროპულ ღირებულებებს, იმედი მაქვს, ქართველები გადადგამენ ამ ნაბიჯს წარმატებისა და უკეთესი მომავლისკენ და დააფასებენ იმას, რაც დასაფასებელია.

ანი სიგუა

Letter to European peer – From Independence to freedom

Georgia fought for independence for many centuries. At the beginning of the 19th century, Georgia became part of the Russian Empire, which led to the loss of its sovereignty. Nevertheless, the Georgians managed to do so and first declared the independence of Georgia on May 26, 1918, but in 1921, the Soviet occupation again left the country outside the sphere of sovereignty. After 70 years of domination, at the cost of great sacrifice, struggle and hardship, on April 9, 1991, Georgia regained its independence, which was followed by a long-lasting struggle. This path teaches us that freedom and independence are the things that the world values most and for which struggle is the goal of every person. After gaining independence, Georgia has changed a lot, the greatest treasure of the country has become a treasure trove – the preservation of language, traditions and diversity, Georgians have been given freedom of speech, religion, expression of opinion, etc. People have been given the opportunity to implement initiatives, and students and pupils have the opportunity to acquire knowledge. For me, as a Georgian born in independent Georgia, the independence and freedom that we have gained are very valuable and precious, as are the European values that I have heard about and which are not foreign to you, as a person living in Europe. However, the sad reality is that despite some progress and steps forward, we still lack much from European values. A large part of the population still does not understand European values and their importance. People still do not know how important the European Union is for the future of Georgia.

The freedom of our country and our people has alwayss been and will be important, because a person is the happiest when he is free, because freedom is the most valuable achievement that we humans have. Many famous heroes have sacrificed their lives for the freedom of Georgia. Many people sacrificed their lives so that we could live in this independent country, which, of course, is very appreciable, so we should not forgive anyone for encroaching on this achievement.

Today, despite the acute conflicts that exist in our country, the European future has always been and is the prospect of a centuries-old and bright future for those Georgians who understand what European values mean, because the European Union is based on values such as: respect for human dignity, freedom, equality and the rule of law. It aims to ensure peace, prosperity and freedom in a more just and secure world.

I think it is a great advantage for the people of Georgia that their country depends on European values. I hope that Georgians will take this step towards success and a brighter future and appreciate what is worth appreciating.

Anna Sigua